

ტაქტიკური

საქართველოს
საბჭოთაო





ოქტომბერი

საგარეო ურთიერთობების საბავშვო ჟურნალი, № 10.

ოქტომბერი
1933
წელი


საქართველოს ბ. კ. მ. ცენტრალური ბიუროსა
და განათლების ხაზ. კომისარიატის ჟურნალი
მცირეწლოვან ბავშვთათვის.

შინაარსი

1. შემოდგომა, —ლეკი შიო მღვიმელისა	1
2. მისი დანაშაული, —ვ. იურინისა. თარგ. ე. ა.	2
3. თინასა და ნელის ნატვრა, —ლეკი გ. კაქაბიძისა	5
4. შეცამეტე კვირული, —იანისა	7
5. საოქტომბრო, —ლეკი გიორგი კალანდაძისა	9
6. ტფილისის ხამხეცეში, —ცკვიტისა	10
7. შემოდგომა, —მე-II ჯგ. მოწ. ნესტან ლეონიძისა	15
8. ყურძნის კრეფა, —ლეკი ლავ. ჭიჭინაძისა	16
9. რა ღირს ბიჭი, —თარგ. რუსულიდან მიშკრალისა	17
10. ყაჩაღი შინა, —გადმოკ. შ. თაბ—ლის მიერ	20
12. დიდი ბურთი, —ლეკი დ. მაროჯანიძისა	25
13. გამოქცეულები, —კ. ძიძიგურისა	27
14. ცუჯოს და ფისოს ამბავი, —პოემა გ. ზონაძისა	29
15. რთილი, —თარგ. ი—ძისა	32



შებე, ბიჭო, რა ხალისით
თავისაკენ გიწვევს ვაშლი!
იქ კაკლებიც გელოდება,
შენ იცი, ხელს როგორც ვაშლი.
აი წაბლი დაკროლილი,
აგერ სხმარტლი, აგერ ბია;
კომშს ფოთლები აღარ უჩანს,
უპ, რამდენი მოუბია!
ა, ყურძენიც დამკვრახული,
ე, სიმინდის ქარვა ტარო;
ის აშკარად თვალს გიშვრება,
რალად გინდა მიეპარო.
ა, ჩურჩხელა გავლებული,
ზედ დაჰყურებს წითლად შვინდი;
ხაითყნაც გერჩის ვული,
შენც იქითკენ გადაფრინდი.
შემოდგომა იწურება,
ფოთლებსა ჰგლეჯს ხეებს ქარი;
სამხრეთისკენ ეშურება
ყოველ შხრიდან ფრინველთ ჯარი.
შირ მღვიმელი!



მისი დანაშაული



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

შიოდა ფრიც გეშქეს.

ფრიცის სახე უკმელობისა და შიმშილისაგან მკედარივით გაფხვრებულსა და გამჭვირვალე იყო.

ფრიცი ძლივს მილოლავდა ბერლინის ქუჩებში, იმ იმედით, რომ შიმშილს რითმე მოიკლავდა.

ფრიცის თვალები ხარბად შეჩერდა ვიტრინაში დაწყობილ დაბრაწულ ფუნთუშებზე.

ფრიცი ვიტრინას მიუახლოვდა. საკონდიტროს კარი ხშირად იღებოდა შემსვლელ-გამომსვლელი მყიდველებისაგან. ყოველთვის როცა კარი გაიღებოდა, ფრიცს აბრუებდა გემრიელი ახალგამომცხვარი პურის სუნი.

ამ სასიამოვნო სუნისგან ფრიცს უფრო მეტად ესხმოდა თავბრუ. მას ჭარბად ჩამოსდიოდა ნერწყვი.

შიოდა ფრიც გეშქეს.

მისი ჩაცვნილი ცისფერი თვალები არ სცილდებოდენ ვიტრინას.



ობ, რომ შესაძლებელია ყოფილიყო ერთი ფუნთუშის აღება! მოპარვა! არა, არა! მხოლოდ აღება! მაშინ შეწყდებოდა შხუილი თავში და წყვეული წვეკუსა.

ფრიცი მოტრიალდა ვიტრინიდან და ქუჩის სივრცეს გახედა.

მისი თვალები უმიზნოდ აშტერდებოდა ვიტრინების ბრწყინვას, ლამაზად დაწყობილ გემრიელ საკმელებს, ნოჰრებს, რომლებიც მყიდველების მოლოდინში თავის მალაზიების კარებთან იდგენ.

მყიდველები კოტანი იყვნენ, და ნოჰრები ერთიმეორეს სახუმარო სიტყვებს ესროდნენ, რომლის ნაწყვეტებიც ფრიცს ყურში ეწვეებოდა.

ფრიცის თვალები შერბოდა ბავშვების ჯგუფზე; ისინიც გახვეულები იყვნენ ისეთსავე ნაგლეჯებში, როგორშიაც თვით ფრიცი და ისევე ხარბად შესტკეოდა გემრიელ საკმელებს, რომლებიც გამოფენილი იყო ვიტრინებზე «გვშია... გვშია... გვშია»...

ფრიცს ეგონა, რომ ის ხამალა გაკევის მთელ ქუჩაში: მშიაო, ნამდვილად კი მისი უსისხლო დახეთქილი ტუჩები ძლივს ბურტყუნებდნენ.

— დედა, — გაისმა ფრიცის მახლობლად ბავშვის წკრიალა ხმა. — ხედავ, ბაქს გული უწუხდება.

ფრიცმა ზანტად მოიხედა. მის მახლობლად იდგა ბიჭი, რომელიც მადიანად შეექცეოდა გემრიელ კრემთან ნამსხვარს.

— ფუ, ალფრედ! ზიზლით წარმოთქვა მდიდრულად ჩაცმულმა ქალმა, ალფრედის დედამ, — წამოდი! ამ ბავშვს ზედმეტი ჭამისაგან თავი სტკიცა.

ფრიცს უნდოდა ეთქვა მისთვის, რომ ის მშვიდია, რომ მას აი უკვე მეორე დღეა არაფერი



უკმაშია, მაგრამ ენა თითქოს გაეყინა პირში და აღარ იძვროდა.

ბიჭი არ მიდიოდა. ფრიცმა ჭანაობით, სწორედ მთერალივით გასწია ბიჭისკენ, გამოსტაცა ხელიდან ნამსხვრის ნარჩენი და ხარბად გადაყლაპა.

ბიკმა ტირილი დაიწყო. ლამაზად ჩაცმულმა ჭაღმა დაარტყა ქურცა ფრიცს და მორთო ყვირილი. მოგროვდა ხალხი.

აღლევებისგან ასლუკუნებული ქალი უანზობდა ხალხს, როგორც ქურცა ფრიცმა მის აღფრედს ნამცხვარი და შეკამა.



— აქვე... ჩემს წინ!—ყვიროდა ქალი.—რა უსირცხვილობაა, რა უსინდისობაა!

— ბიკი შშიერი იყო, —გაისმა ხმა ხალხიდან.

— შშიერი, შშიერი, —გააჯავრა ქალმა.—მე კი...

— გინდათ, ქალბატონო, მე გადავიხდით ნამცხვრის ფასს! —ბრაზით თქვა იმავე ხმამ.

ქალმა გაარღვია ხალხი და ქალთან მივიდა. მისი დაცვეთილი ტანისამოსი და ფერმკრთალი, გამხდარი და ბანჯგვლიანი სახე მოწმობდა, რომ ის უმუშევარი უნდა ყოფილიყო. მან ამოიღო ჯიბიდან რამდენიმე გროში და გაუწოდა ქალს.

ხალხში შუცმანი შემოიჭრა.

დაინახა თუ არა შუცმანი, ფრიცს შეეშინდა და მოწყდა ადგილიდან.

— ქურდი... დაიჭირეთ ქურდი... ქურდი! —ისტერიულად გაჰკიოდა ქალი. შუცმანი და რამდენიმე კაცი ფრიცს გამოუდგენ.

ფრიცი უკვე შუა ქუჩაში იყო, როდესაც რალაც უზარმაზარი მიუახლოვდა, ასწია მალლა ჰაერში და გადისროლა გვერდზე.


მუხრუტის მკვეთრი ხმა შეუერთდა ტყვილისგან სულშემშუთავ კივილს.

შოფერი და კიდევ რამდენიმე კაცი ძირს გაშხლართულ ფრიცისაკენ გაიქცენ.

შუცმანმა ტელეფონთან მიირბინა და სწრაფდამხმარე გამოიძახა.

ფრიცის ტუნები რალაცას ბურტყუნებდნენ. შოფერი დაიხარა და ყური მიუვლო.

— კამა, კამა მინდა, —მოესმა მის.



შოფერმა ამოიღო ფული და ფრიცს ხელში ჩაუდო. სწრაფდამხმარე მოვიდა.

საკაცე, რომელზეც ფრიცი იწვა, სწრაფად შედგეს მანქანაში, და ის წავიდა.

მეგზოვებ სისხლის რამდენიმე გუბეს ქვიშა მიაცარა.

ვ. იურინ.



თინა

— ეს ხმები და ეს მუსიკა
რა კარგია, რა წყრილა!
აი, გესმის?! იქით კიდევ
ჯარმა „ვაშა“ იგრილა.
ვინ დაითვლის ამდენ ღროშას,
ან პლაკატებს ვინ აღრიცხავს!
წინ საითაც გაიხედავ,
მოდრაობენ ყველგან მკვირცხლად.
ო, რამდენი ხალხი არის!
ო, რამდენი ახალგაზრდა!
ეს ქალაქი მზიარული
კიდევ უფრო გაღამაზდა!

ნელი

— იმ ბიქს მაინც დიდი ღროშა,
ხედავ, როგორ კობტად მიაქვს?!
კომკავშირის თხუთმეტი წლის
არსებობის ზეიმია.
ჰო და, თინა, რა იქნება,
გავერიოთ, მოდი, მათში,
გავიაროთ ტრიბუნასთან,
მოვისმინოთ ქუჩის მარში!

თინა

— ესინჯოთ?! მაგრამ პატარები
ჩვენ ვიქნებით, მგონი, მარტო.
მაინც როგორ მოგრუხუნებს
ეს ოხერი დიდი ვეტო!



ჰე, როგორი კედლა არის!
აქ ვერც იცნობს ბავშვი პატრონს.
არა, ნელი, დაგვამტვრევინ,
ანდა გაგმკვლეტს სადმე ავტო.

ნელი

— ვითომ, გოგო?! ამ ზეიმში
როგორ მსურდა, მერე, ვაელო!
როგორ მსურდა დროშის ახლო
დამეჭირა თავი მაღლა!
დღე არც ისე ცუდი არის,
გაელის დროა, უკვე დათბა...
სურვილები ღამის მახრჩობს,
გული მწყდება, მაგრამ რა ვქევა!

თინა

— ჰე, დიდები ვიყოთ, ნეტავ,
გვქანდეს წლების მეტი რიცხვი,—
მაშინ აბა თუ ვიგრძნობდით
გულდაწყევტას, ანდა სირცხვილს!
მაშინ მართლაც ამ ზეიმში

დავიკერდით თავებს მაღლა,
კომკავშირულ მებრძოლებად
გავეყვებოდით ხალხის ტალღას.
დღეს რას ვიზამთ! ერთიპული
ჰარს ქუჩიდან ზევით შიპქვს.
ახალ დროშებს, წითელ დროშებს
ვერ დაითვლი, ზეიმიო.
ეს დღე არის კომკავშირის,
დროშას ჩვენ ვინ მიგვაკარებს.
სურვილები აქ არ კმარა,
გვედახიან ჯერ პატარებს.
ო, რამდენი ხალხი არის!
ო, რამდენი ახალგაზრდა!
ეს ქალაქი მზიარული
კიდევ უფრო გალამაზდა.
ჩვენც დიდები ვიყოთ, ნეტავ,
გვქანდეს ტანი კობტა, დიდი,
მაშინ, ნელი, ამ ზეიმში
მართლაც რიხით გავივლიდით.

მეცამეტე კვირული



საქართველოს
საშუალო სკოლების
მეცამეტე კვირული

ჯგუფის ოთახში რამდენიმე ოქტომბრელი შეყრილა და ბაასობენ.

— მაშ მეცამეტეა? — კითხულობს ვანო.

— ჰო, მეცამეტეა, — იძლევა გოგი პასუხს.

— ჩვენ კი არავითარი სამზადისი არ ჩავეიტარებია, მზად არა ვართ, — აღნიშნავს პატარა ქეთო.

— სირცხვილია, სირცხვილი, ამხანაგებო! გაყვირის კუთხეში დამტერეულ ბარბანზე შემჯდარი ვილაც. ვანოც ცხარდება.


— არავითარი სირცხვილი! ჯერ კიდევ გვიან არ არის, კვირეული ოქტომბრის შუა რიცხვებში იქნება და ჯერ კიდევ გვაქვს დრო მოსამზადებელი მუშაობისათვის.

ამ დროს კარი სწრაფად გაიღო, და ოთახში კოტე შემოვიარდა.

— რას ამბობდით, რის ულიო? — იკითხა მან.

გოგი დინჯად წამოდგა და პასუხად დაიწყო:

— ოქტომბრის შუა რიცხვებში ვდღესასწაულობთ ბავშვთა მეცამეტე საერთაშორისო კვირეულს. ჩვენ ამ დღეებს ზეიმითა და სიხარულით ვხვდებით. რადგან გვგმინად შენდება ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმი, წინ მივიწვევთ ქონებრივად და კულტურულად. დიდი და პატარა შეერთებული ძალით ვიბრძვი, რომ მოვაწყვათ ახალი ცხოვრება, ისეთი საზოგადოება, სადაც არ იქნება ხალხის დაყოფა მდიდრებად და ღარიბებად და ყველა მეგობრულად და ბედნიერად იცხოვრებს. ბურჟუების ქვეყანაში კი შრომელნი შიმშილით იხოცებიან, მათ ცხოვრებისთვის არავითარი სხვა გა-



მოსავალი არა აქვთ, გარდა ერთად-
ერთი გზისა, და ეს გზა არის რევო-
ლუცია და საერთაშორისო საბჭოთა
კავშირის დაარსება. ეს კარგად იციან
შთ.

უცერად ქეთოს ხმა გაისმა:

— გოგი!

— რასაკერი? — მიუბრუნდა გოგი.

— კი, მაგრამ, რა უნდა გაგაკეთოთ ჩვენ, ბავშვებმა, ამ კვირეულთან დაკავშირებით?

— ჩვენ, პატარებს, ვალად გვედება დავაგვირგინოთ ლენინის პარტიის საქმე, კომუნისტური საზოგადოების აშენების საქმე. ჩვენი ვალია აღიზარდოთ კომუნისტების აშენებისა და საბოლოოდ დამყარებისათვის.

გაოცებული შესტყერის ქეთო გოგის.

— ამ ერთი კვირეულის განმავლობაში გაეიზარდოთ ამოდენები და აუაშენოთ კომუნისტი?

ყველამ გულიანად ვადიხარხარა და ქეთოს შემოესივნენ. გაწითლებული გოგონა ხელახლა მიმართავს გოგის და დაჟინებით ეკითხება:

— შე გკითხებ, რა უნდა გაგაკეთოთ ამ კვირეულში, რისთვის ვატარებთ მეთქი, შენ კი მოჰყევი, კომუნისტების აშენება გვევალებაო. ეს ხომ მეც ვიცი.

შეკითხვაში უკვე გარკვეული გოგი პასუხს ხმამაღლა იძლევა:

— მთელი ქვეყნის შრომელთა ბავშვებმა უნდა მოიგონონ, რომ მათ ერთი მიზანი აქვთ, რომ ისინი მოვალენი არიან იბრძოლან იმისათვის, რისთვისაც იბრძვიან მათი ღვლები და მამები. ბავშვთა საერთაშორისო კვირეული ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციების დათვლიერების კვირეულია, ეს არის ბავშვთა შორის

ინტერნაციონალური კავშირის გან-
მტკიცების კვირეული... იქნებ...
ინტერნაციონალური კავშირის გან-
რა არის? — კითხვით დაამთავრა გოგიმ.

— რატომ ევგვ გგონია, გოგი? —
შეურაცხყოფილი წამოდგა ქეთო.

— შოო, და თუ იცი, აი ჩვენც ახლა უნდა ვადვინჯოთ, რას ვაკეთებთ ამ საქმეში, როგორ ვაწარმოებთ ამ ფრონტზე მუშაობას, ვინ არის მოწინავე, ვინ არ მუშაობს და სხვა.

— თუ ევგვ, მე წინადადება შემომაქვს: გამოვატადოთ სოცშეგობრება ჯგუფებსა და რაზმებს შორის და ენახოთ, ვის უკეთ ჩაუტარებია და ატარებს მუშაობას ინტერნაციონალური აღზრდისა და კავშირის განმისათვის.

— შეხეთ, შეხეთ, ქეთოს როგორი კარგი წინადადება შემოაქვს! — გახარებული დაეთანხმა ყველა.

რამდენიმე წუთს გაგრძელდა ბავშვთა მზიარული ჭრიამული. — მაშ მეც შემოვიტან ერთს წინადადებას, — აცხადებს კოტე. — რადგანაც საქორთავო კვირეულის მომზადება, დავალოს ამ ქეთოს გააკეთოს ჩვენს სკოლაში ინტერნაციონალური კუთხე. ისეთი იყოს ეს კუთხე, რომ ყველას იზიდავდეს, ღამაზი იყოს, კარგი და მუდამ აწარმოებდეს მუშაობას. მისი მუშაობის შესახებ კი ჩვენ მასწავლებელს ვკითხოთ, როგორ სჯობია.

— ესეც კარგი წინადადებაა, — მოიწონეს ესეც.

კოტე ისევ განავრძობს:

— მტვერი ვერ უნდა ასწრებდეს დაჯდომას პლაკატებზე, კედლის გზებზე და სურათებზე, ამ კუთხეში ისე ჩატარა უნდა იკვლევოდნენ ისინა.

ამ კუთხის ირგვლივ ურდა შეიქნას
აქტივი და ჩაატაროს დიდი მუშაობა,
როგორცაა: უცხოეთის ბავშვებთან
კავშირის გაბმა, ამგვარი კავშირის
დამყარება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა
კუთხის ბავშვებთან, წიგნების კითხვა
გაზეთების გარჩევა და სხვ. ამავე კუ-
თხემ უნდა ჩაატაროს დიდი მუშაობა,
რომ რუსული ენის სწავლა გაგვი-
ადვილდეს.

— სულ მართალი ხარ, კოტე,

სულ! — აღფრთოვანებით ეთანხმება
ქეთო, და მას მიჰყვება ბავშვთა სა-
ერთო თანხმობა და ერთმულღერად
— ამხანაგებო, ჩვენ თუ ეს მუშაობა
ლით, შეგვიძლია განვაჯადოთ:
— პირველხარისხოვნად ჩავატა-
რეთ ბავშვთა საერთაშორისო კვირე-
ული!

— შევძლებთ!

— შევძლებთ!

ბაზო.

საოქტომბრო

ოქტომბრის დილა მზიანი
სარკმლებში სხივებს ატარებს,
სკოლის წინ ხალისიანი
ყივინა უდგათ პატარებს.
მოსულან: თამრო, ოთარი,
ლეო, თინიკო, ლეილა,
მღერიან, ხტიან, შფოთავენ
და დანარჩენებს ელიან.
დანარჩენებიც მოდიან
გუგუნით, ფერად ფერებით,
ეს ზღვის ტალღები როდია,
გუნდია ბიონერების!
ტაში, სიმღერა გაბშირდა,
იხაროს თქვენმა გულებმა.
— სმენა! სწორება მარცხნიდან! —
გაისმა განკარგულება.
მზეზე დროშები ელავენ,
ბავშვები მწყობარში დგებიან.
კოტა ხნის შემდეგ ყველანი
ქუჩებსაც მოედებიან.

გიორგი კალანდაძე

იმ შენობას რომ მივუახლოვდით, რაღაც გაურკვეველი გუგუნნი მოგვესმო-
იქნებ საშინელი ცხოველების ნახვას რომ მოველოდი, იმ ფიქრებმა შექმნა
თავში ეს ხმები, მაგრამ არა, ნამდვილად ყრუ გუგუნნი მოისმოდა. ^{ჩემი ხმებისა}
ზარი ფიცრული შენობიდან.

მივუახლოვდით... ორი ნაბიჯი-ღა დაგვჩა შესასვლელთან. ამ წამს რაღაც
არასასიამოვნო სუნმა შეგვეზარა.

ბილეთები ვიყიდეთ. დიდი კარი ჩვენს წინ ფართოდ გაიღო. შევედით.
პაწია ოთახის ოდენა ვალიებმა ერთნატივლი მომგვარა. ვალიები, ვალიები და
ვალიები.

ათასწამრმა ხმაურობამ და დაუსრულებელმა ფუსფუსმა გამაბრუნა.

— აი, აქედან დაიწყეთ, — მომესმა ვიღაც ევროპულად გამოწყობილ
ახალგაზრდის ხმა. ის თუმცა იღიმებოდა, გამოხედვა კი სერიოზული ჰქონდა.
ბიძაჩემმა ხელი წამავლო და პირველ ვალიასთან გამაჩერა.

ვალთა პატარა იყო. შიგ დათვის მსგავსი პაწია თეთრი თავგები იყვნენ
მოთავსებულნი. ისინი სწრაფად დაკუცუნებდნენ, ერთმანეთს თავზე აბტებოდნენ,
ზოგს მავთულგებიდან გარეთ გამოეყო პირისფერი პატარა ღინგი, ზოგი სწრაფი
მოძრაობით ფეხნიდა გოგრის გულს და თვალებდაცეცებული გემრიელად
შეეჭკვოდა.

უცხო კაცმა რაღაც განმარტებით მიმართა ბიძაჩემს. სწორე გითხრათ, მე
ყურიც არ მითხოვებია, ან რად მინდოდა, ისინი რა ფერისაც უნდა ყოფილი-

ყვნენ, მაინც თავგები იყვნენ, და თავგებს
ხომ ყველანი ისე კარგად ვიცნობთ!

ჩემი ყურადღება უზარმაზარი მხეცების-
საკენ იყო მიპყრობილი, საიდანაც საშინე-
ლი ღრიანცელი მოისმოდა.

ბიძაჩემი გულდასმით ათვლიერებდა
ყოველ პირუტყეს და უბის წიგნაკში რა-
ღაც შენიშვნებს იწერდა.


მე მოუთმენლობა მტანჯავდა.

თავგების შემდეგ გარეული კატა ენა-
ხეთ. მას თვალები ცეცხლივით უელავდა.
ჩვენებურ კატაზე სამჯერ დიდი იყო და
უცნაური ბოხი ხმით ჩხაოდა.

ჯერი მელიებზე მიდგა. იმათ ჩემში
რაღაც ობუნჯური გრძნობა გამოიწვიეს,
მე მათ ისე მივესალმე, როგორც დიდი
ხნის უნახავ ნაცნობებს.

ერთი მელთა უკანა ფეხებზე წამოიკუც-
ქებულყო, თვალებდაელმებული ისე სა-
საცილოდ შემომცქეროდა, რომ მე ხარ-
ხარს მოვეყვი.





დანარჩენი მეღიები ზოგი იწვა, ზოგი ბოლთას სცემდა. ერთმა მათგანმა ფეხი ისე კოხტად გამომიყო, ხითქოს ხელის ჩამორთმევა უნდაო.

ამასობაში ორ მოალერსეშ მელისა შორის ისეთი ჩხუბი და წეწვა-გლეჯა ატყდა, რომ ევროპულად გამოწყობილმა კაცმა რკინის ჯოხით ძლივს გააშველა ისინი.

— ბიძია, დახე, ჩვენ მურია ძაღლს არა ჰგავს, ისეთივე დიდია და ისეთივე თაფლის ფერი. დახე, დახე, გულზეც თეთრი ნიშნები აყრია!—წამოვიძახე და გაკვირვებით ყურება დაუწყვე.

მე მგელი არასოდეს არ შენახა და საშინელი წარმოდგენა მქონდა მათზე, მაგრამ აქ რომ ასეთი დაწყნარებულნი და ასეთი დამშვიდებულნი ვნახე, ძლიერ გამიკვირდა.

ერთი უფრო მოდილო მგელი ისეთი დაჟიქრებით და ისეთი სიმშვიდით იმზირებოდა, რომ ფრიად დარბაისელი ადამიანი წარმომიდგა. მგელმა ჩვენ ყურადღების ღირსიც არ გაგვხადა, თითქოს მის წინ ქიანქველემბიც კი არ ყოფილიყვნენ, ერთხელაც არ შემოგვხედა.

ამ წუთს შფოთისა და ღრიანცელის სამყაროს ვუახლოვდებოდით.

გული თრთოდა შიშისა და ცნობისმოყვარეობით. ოთხი დიდი გალია რიგ-რიგად იდგა, სადაც სხედასხვა ფერისა და სიდიდის დათვები იყვნენ მოთავსებულნი.

აქ კი ნამდვილ ჯამბაზობას ჰქონდა ადგლი. პირველ გალიაში ორი დიდი დათვი იყო მოთავსებული. ერთი მათგანი მთელი გალიის სიგრძეზე იწვა. უზარმაზარი თავი, როგორც დიდი ყურთუქის ბალიში, მათულებზე მიედო.



პირში¹ თათი ჩაედო და ისეთი გმი-
 ვით, ისეთი² ლრიანცელით წუწუნდა³ მ-
 გონებოდით: ცუვეობით გააღმასტყურ⁴ მ-
 თავისი თავის შექმას შესდგომილი.

მეორეს თავი დაბლა დაეღუნა, გალიის სიგრძეზე მიმოსვლას სცდილობდა და სა-
 ცოდავად წინ და უკან სწრაფად ტრია-
 ლებდა.

ძლიერ შემეცოდა: ალბათ მისი ბუნება
 სიარულსა და მოძრაობას მოითხოვდა და
 ვიწრო გალიაში ციბრუტციით იმიტომ
 ტრიალებდა, უცებ ჩემი ყურადღება რით-
 მიუღმა წკაპაწყუბმა მიიპყრო. დათვების
 გალიების რიგს რომ გაეხედე, გამივირდა:
 დანარჩენ ოთხ გალიაში ორ-ორი უფრო
 დიდი, მაგრამ მჭევრტლივით შავი და მშზი-
 ნავი დათვი იყო მოთავსებული.

მათაც თავიანთ გალიებში წინ და უკან
 მიწყვეტ-მოწყვეტა დაიწყეს, ისეთი მოუ-
 სვენრობა და თათების ტყაბატყუბი ატეხეს,
 რომ მართლა მძიმე დასანახავი შეიქნენ.

შემდეგ ისევ საოხუნჯო რამ წარმო-
 გვიდგა თვალწინ: გალია უკვე პატარა იყო.
 სამაგიეროდ იმდენი ტურა იყო მოწყვედ-
 ული, რომ ბუნებრივით ირვოდენ.

— ეს შოტლანდიელი ტურებია, თავის სახლობითაო, — განმარტა ამხსნელმა.
 გალიის წინა კედელს ეჩემატა ტურიკები მოსდგომდნენ და გათაცოცებით
 იტკირებოდნენ.

დედალ-მამალი ტურები უკან დარბაისლურად ესკუბნენ და, თითქოს
 მართლა დიდი აღმზრდელიობითი შეგნებით იყვნენ გამსქველულნი, თავიანთი
 შეიღების ყოფატყევის ყურადღებით თვალყურს ადევნებდნენ.

ეს პატარა ტურები ისეთ სასაცილო არსებად მიმანდნენ, რომ კიდევ
 ვინატრე: ნეტა ეს გალია მე მაჩუქონ მეთქი, მაგრამ უცებ საშინლად შევბტი
 და ბიძაჩემს გვერდში მაგრა მივეკარ.

გულშემზარავემა ღრიალმა ყველა დააყრუა.

ხალხმა განცვიფრებით იქით დაიწყო ყურება, საიდანაც ეს საშინელი
 ღრიალი მოისმა.

ზოგიერთმა მხეცებმა გალიებში წკმუტუნნი მორთეს, სხვები გალიის ბნელ
 კუთხეს მიეკრნ და ხმას აღარ იღებდნენ. საერთოდ სამხეცეში საშინელი მოუ-
 სვენრობა შეიქნა.




— ნუ გეშინია, ეგ ბენგალიის ვეფხვია, ალბათ საქმელი არ გყო და გვეჩუბებაო, — გაგვიმარტა ისევ ჩვენმა თანამგზავრმა ამხსნელმა.

მე თვალეზი იქით მივაპყარი. შიშით თხები მალლა წამივიდნენ და ეკლების ამოსვლა ვაგრძენ და თვალი ისევ მოვარიდე.

შენობის შუაგულს დაუწყვე ყურება.

გალიები იქაც იდგა, მაგრამ ყველაზე დიდი ადგილი აუზებს ჰქონდა დათმობილი, სადაც ზღვის ცხოველები ტურვის დროს წყალს ძალზე ატუქყიანებდნენ.

იქვე აუზის გასწვრივ, ოდნავ შემოთარგლულში, რომელსაც კარიც კი არ ჰქონდა, ბალახებ შორის ისეთი ღამაზი ისეთი წყნარი შველი იწვა, რომ მისმა დანახვამ ლომობიერებით ამიესო გული. იმ საერთო ღრიანცელში, იმ გალიების კედლების ჯახაჯუხში და კბილთა ღრქენაში ის ისეთი სიმშვიდით იწვა და იყურებოდა, რომ ვერ მოვივამინე, ძლიერ აბლო მიველ, კისერზე მოვეხვიე და სიყვარულით თვალეზში რამდენჯერმე ვაკოცე.



მან კისერი ჩემკენ დინჯად მოიღო და თვალეზში ტკბილად დამიწყო მზერა. გასაოცარი ის იყო, რომ როცა ვეფხვი ღრიალებდა, უზარმაზარმა დათვებმაც კი სხეებთან ერთად საშინელი მოუსვენრობა გამოხატეს, ეს კი არ განსაზღვრულა, იგივე წყნარი, მშვიდი და ლომობიერებით სავსე იწვა.

მისმა სიმშვიდემ და სიწყნარემ საშინელი მხეცების მიერ აღძრული შიში მთლად გამიფანტა.

ამიტომ სრული დამშვიდებით და უფრო დაწყნარებული ცნობისმოყვარეობით გავყევი ბიძაჩემს დანარჩენი მხეცების დასათვალისწინებლად.

ენახეთ ის მხეციც, ბენგალიის ვეფხვი. სხეული ოქროსფრად უზბინავდა, თავბირი კატას უგავდა, მაგრამ საშინელი გაჯავრებული იყო და თვალეზს



ისე აბრიალებდა, რომ არ მომეწონა. მაგრამ ფოცხვერის გალიის რამდენიმე ცხელით, ამაზე დაღრეჯილი, იმაზე ავი არაფერი არ შემოხეცნებია.



კბილები აჩხაბაჩა უსხდა, კბილები კი არა, სუშველებელი ძელები ერქო, შავი ლაშებიდან სიბრაზით დორბლი გადმოსდიოდა, თვალები კი ბოროტებითა და შხამით ჰქონდა საესე.

მის წინ საქონლის დიდი კანკი ევდო და შმაგვით ხრავდა, ისე ლეწავდა, როგორც ჩინჩუარს. შეუდგე თეთრი დათეები ენახეთ.

სპილო და ლონი არსად ჩანდენ. ჩვენ შეკითხვაზე ამხსნელმა გვითხრა, რომ ლომი საზღვარზე მოჰკვდომოდათ, სპილო კი მოსკოვეში დაეტოვებიათ, რადგან აუად გამხდარიყო.

შენობის დასაყლეთ მხრივ ათასნაირი ფრინველისათვის მოეყარათ თავი. ვინ მოთვლის რამდენი ჯურის ცხვირგძელი და

ცხვირკაუტუა ფრინველები არა ენახე: მრავალნაირი ბულები, რომელთა თვალეებიც ცეცხლივით ბრიალებდენ, თეთრი არწივები, ყარყატები, ლამაზი ფარშევეანგები, გარეული ბატები, ათასნაირი ხობბები!

ყველაზე სასაცილო ერთი ყარყატის მსგავსად აყუდებული უშველებელი ფრინველი იყო, თეთრი, დიდი და ისეთი სქელი ნისკარტი ჰქონდა, თითქოს





დაბარგული ურემიოა. სიცილი ველარ შევიკავე და ხმამალა მოერთებ ჩემს
რად ხარხარი.

ის თითქოს გაოცდა და ცხვირი ხან აქეთ მიატრიალა და ხან იქით, ამით
უფრო სასაცილო შეიქნა, და ბიძაჩემსაც კი სიცილი აუფარდა.

ქვემოდ პატარა აუზში შავი გედები უცნაურად ყიოდნენ. ყველას ხელე-
ბში ეტანებოდნენ. ხალხიც პურის გულს უყრიდა წყალში. ისინი სწრაფად ყლა-
პავდნენ და ისევ ხელებში მისცივდებოდნენ.

თრითინებისა და კურდღლებისათვის არავითარი ყურადღება არ მიმი-
ქცევია.

ჯერ სუნმა შემზარა და მერე დავიღალე. წამოსვლისას მე ისევ შუაგულს
მივაშურე. ერთ დიდ აუზში ვეშაბი ჩაძირულ გემივით ირხეოდა, ზოგჯერ
ზურგიდან შადრევანის მსგავსად რაღაც სითხეს უშვებდა. მის გვერდით მეორე
აუზში ზღვის ლომი ცურავდა. ის ძაღლსა ჰგავდა, ბოლო კი თევზს უგავდა.
კურვის დროს წარამარა ცხვირს წყალს ზემოთ ამოყუფდა და ისე ფრუტუნე-
ბდა, როგორც ძაღლის მიერ შეშინებული კატა, წყალში კი თვალეები ისე
უნათებდა, როგორც სანთლები. სამზეციდან რომ ებრუნდებოდით, გაჯავრე-
ბული თუთიყუში დაჟინებით რაღაცას მომძახოდა.

ცაჰიბი.

შემოდგომა.

ტაში-ტუში, შემოდგომა,
ჩამოყარე ბევრი ხილი,
დამშვენე მთა და ველი
და მერმისაც კიდევ გელი.

ჩიტუნები გადაფრინდნენ
შორეული ქვეყნისაკენ,
მენატრება მათი სტვენა,
ველოდები ისევ ჩემკენ.

მე-II ჯგ. მოწაფე ნახთან ლეონიძე



1.


კოლმეურნის ურემი
მოდის ნელი ჭრიალით,
უკან მებრე მოჰყეება
ხელში სახრის ტრიალით.
ყურძნით სავსე ურემი
ოქროსავით ბრწყინავდა,
და გლეხს შრომის ბარაკა
სახლში დაუბინავდა.

მეტრემ მზიარული
მოდის, მღერის წყნარადა:
— წელში გამართული ვარ,
ალარა ვარ ცალადა...

2.

დღეს ბავშვების გულგებაც
სიხარულით ივსება,
ყურძნიანი კალათის
დაცლა ეხალისებათ.
კოლმეურნე ბავშვების
მწკრივი გამართულია,
გიხარია, რომ ხედავ:
თითქოს დახატულია,
გაიმართა შეჯიბრი
პატარათა შორისა,
კრეფენ, თან უხარიათ,
სურვილი აქვთ შრომისა.
პატარებში ხმა ისმის:
— დაჩქარეთ, დაკრიფეთ!
ვაზი მაღლა ასულა,
ძირს მიუდგით მას კიბე!
დატრიალდენ ისინი,
გააკეთეს ხარაზო,
ერთი მაღლა ავიდა,
მეორე ძირს დარაჯობს.
კოლმეურნე ბავშვების
მწკრივი გამართულია,
გიხარია, რომ ხედავ:
თითქოს დახატულია!





პატარა ჩინურ ფანჯაში უცნაურად გამხდარი და დანაღვლიანებული ვეი-ჩენი იჯდა სუფრასთან თავისი ცოლით, მცირეწლოვანი სამი შვილით და რჩილიან ბრინჯის წვენის სკამადს შეეკეცოდა.

ფანჯაში ნახევრად ბნელოდა და ნოტიოს სიმყრალის სუნი ოშხივარევით იდგა.

ვეი-ჩენმა მწუხარედ გადახედა ცოლს და ამოოხვრით წარმოთქვა:

— ჩემო ფუ-სი, ჩენი მიწა კარგია, მაგრამ ისე პატარაა, რომ მთელი მოსავალი ნახევარ წელიწადსაც არ გვეყოფა. რა უნდა ვქნათ... უნებლიედ მოგვიხდება ბავშვების საშუშაოდ გაბარება!

სიტყვა გაახანგრძლივა ვეი-ჩენმა და ბავშვებს გადახედა, რომელნიც გადალტყავებულნი, ყბებჩავარდნილნი, სამარიდან ამომძვრალ ჩონჩხივით მისჩერებოდნენ მამას.

ფუ-სიმ, ვეი-ჩენის ცოლმა, შეშინებულმა მოავლო ბავშვებს თვალი, შემდეგ აიყვანა ყველაზე უმცროსი ბიჭი ჩენა და მგერად მიიკრა გულზე...

— მხოლოდ ეს დარჩეს ჩემთან, მარტო ეს! — მშობლიური მტკიცე გრძობით წამოიძახა ფუ-სიმ.

— ამას ვინ წაიყვანს! ეს ჯერ თავივით პატარაა და სუსტი... — და თან დაუმატა ვეი-ჩენმა:

— სატირალი არაფერია, იქ საკმელს მაინც აქმევენ ბავშვებს, აქ კი შიშვლით სიკვდილი მოვლის ყველას.

ვენ-კაი-შის და ინგლისელ მისტერ სტორმს ფეხსაცმელების დიდი ფაბრიკა აქვთ იმავე ქალაქ N-ში, სადაც ვეი-ჩენი ცხოვრობს. ფაბრიკაში მუშაობა კარგად მიმდინარეობს და ამიტომ კარგ შემოსავალს იძლევა: მუშები ძლიერ იაფად მუშაობენ, თითქმის სულ გროშის ფასად. მაგრამ ინგლისელი მისტერ სტორმი და ვენ-კაი-ში მაინც ცდილობდნენ მოეგროვებინათ გაღატაკებული ოჯახებიდან გასაყიდად გამოყვანილი მცირეწლოვანი მუშები და სულ მუქთად ემუშავებიათ.

გაქირებულნი ბევრნი აჩიან. ოშმა ყველანი გააღატაკა. მაგრამ ვენ-კაი-ში და მისტერ სტორმი მაინც არ ქირაობენ მოზრდილ მუშებს: ბავშვებთან მუ-



შობას ამჯობინებენ. „ბავშვები უფრო მოპოვებენ არიან, მათ უფრო საკმელს რომ ვაჭმევთ ისიც დიდია მათთვის“.

ასე შეთანხმებულად მსჯელობდნენ ჩინელი და ინგლისელი მეფაბრიკენი. მხოლოდ საჭირო იყო მოეძებნათ ქალაქის ქუჩებში ისეთი ლატაკი ბავშვები, რომელნიც რამდენიმე წლობით გასაყიდად გამოყავდათ თავიანთ მშობლებს.

ვენ-კაი-ში ყოველდღე გამოდიოდა ქალაქში. გეგონებოდათ სეირნობსო, ისე ზღაზნით მიდიოდა. ამავე დროს ის ათვლიერებდა [ყოველ კუთხეს და ყოველ კუნჭულს, აგროვებდა სიკვდილის პირზე მიღწეულ ბავშვებს და მიყავდა სამუშაოდ ფაბრიკაში.

ერთ დღეს ვენ-კაი-ში ჩვეულებრივად გამოვიდა ქალაქში სასეირნოდ, გაიარა მოედანი, დაკვირვებით მიმოაელო ირგვლივ თვალი და გაიღიმა: კუთხეში





იღვა. ნახევრადტიტველი ჩამომხმარი ჩინელი. მას გვერდით მიჰკროდნენ შიშველები
ტიტველი ბავშვები — ქალი და ვაჟი.

ვენ-კაი-ში მიუახლოვდა მათ ღინჯად და განაგრძო გზა, თითქოს სრულ-
ლიად არ ამჩნევდა ამ უბედურ ხალხს.

— ოხ, ბატონო, — შორსხვად მიმართა ვეი-ჩენმა მოსეირნე ღიპიან ფაბრი-
კანტს, — მოიღეთ მოწყალება.

ვენ-კაი-შიმ ირიბად ვახედა ჩინელს.

— რა გინდა? — ჰკითხა მან.

— დიდო ბატონო, იქნებ პატარა მუშები გინდათ?

— არა, არ მინდა! — ირონიული ღიმილით მიუვკო ვენ-კაი-შიმ და უფრო
ზღაპრით გადადგა ნაბიჯი.

— დიდო ბატონო, — ჩახრინწყული ხმით წაიბუტბუტა ჩინელმა, — მე ცო-
ტას ვთხოვ...

— სულელო ადამიანო, ჩვენ აქ გავვიგონებენ... წამოდი ჩემთან ეზოში...
მავრამ არა, ჯერ თქვი: — რა ღირს ბიჭი?

— ოხ, ბატონო, მხოლოდ ხუთი დოლარი...

— ხუთ... ი...

— ქალი კი ორი დოლარი ეღირება.

ვენ-კაი-შიმ ისევ ირიბი ღრეცით მოიხედა და გადაჭრით თქვა:

— თუ გინდა, ხუთი დოლარი ორთავეში და ხუთი წლით ხელშეკრულე-
ბა... ხმა აღარ გამავნო... წამოდი იქ ეზოში... კანტორაში დაგიწერ პირობას.
და ვენ-კაი-ში უკანმოუხედავად გაუდგა გზას.

ფეხსაცმელების ფაბრიკის კანტორაში მისტერ სტორმი დიდხანს სინჯავდა
ჩინელ ბიჭს, ბოლოს გასინჯვის შეიდეგ, მიუბრუნდა ამხანაგს და ცივად თქვა:

— არა უშავს, ბიჭი გამოდგება, გოგრა-კი არ არის საჭირო.

— მერე რა, გოგო ხომ სრულიად უფასოდ გვრჩება, — შეუტია ვენ-კაი-შიმ
ინგლისურად.

— სულერთია, ის იმდენს შექაშს, რამდენსაც ვერ გააკეთებს.

— მაშ კარგი, გოგოს მე წავიყვან ჩემთვის. სულერთია ის მაინც მუქტად
მოდის. ჩემ ძალზე მეტს ხომ მაინც ვერ შექაშს.

პირობას ხელი მოაწერეს. ვეი-ჩენმა მიიღო სრული ანგარიში, უსიტყვოდ
მოეხვია ბიჭს მხრებზე, გოგოს თავზე გადაუსვა ხელი და საჩქაროდ გამოვიდა
კანტორიდან.

საწყალი ფუ-სი თვალცრემლიანი იღვა ფანზის კაბთან და მოუთმენლად
ელოდა ვეი-ჩენის დაბრუნებას.



უკრაინის ტრიალ მინდორში ცხენების ჯოგი ძოვდა ბალახს. ძალიან უცნაური იყვნენ ეს ცხენები. თქვენ აღბათ, არასოდეს არ გინახავთ ასეთი ჯოგი. ეს ცხენები ბავშვების გასართობად გაკეთებულ სათამაშოებს ჰგავდნენ.

მშენივრად შეეძლოთ ორ ფეხზე სიარული, თუმცა ეს მათთვის არავის არ უსწავლბოია. ისინი ძვლიან პატარები და უცნაურები იყვნენ.

ფეხები წვრილი ჰქონდათ, ჩლიქები წაწვეტიებული, კისერია მოკლე, ფაფარი—ყალყზე დამდგარი, კბილები—დიდი და ძალიან მაგარი.

ყველაზე უფრო სასაცილო იყო მათი ფერი. ზოგი ცხენი ნაცრისფერ-მოყვითალო იყო, სილის ფერს წაგავდა, ზოგი კი სულ შეეღებათ პატრონებს, მაგრამ ძალიან უშნო გამოსულიყვნენ. მაშინ ტანის, ფეხების, კისრისა და თავის არდიგარდმო ფართო შავი ზოლები დაეყოლებოათ. ახლა ძალიან სასაცილონი იყვნენ, მაგრამ ხომ ველარ გადააკეთებდნენ, და ასე აქრელებული დარჩენ.

აი ასეთი უცნაური ცხენები ძოვდნენ ბალახს უკრაინის ტრიალ ველზე. იქნებ თქვენ ისინი სათამაშო ცხენები გგონიათ?

აბა ერთი გენახათ, ნეტავი, ჩვეულებრივი ცხენები როგორ გარბიან შეზინებული, როდესაც ამ კრელ პატარა ცხენებს დანახავენ!

ამ ცხენების ბებიენი და ბაბუები სულ ველურები იყვნენ. ისინი თვითონ მოულოდლენ საკვებს, თავს იცავდნენ მტრებისაგან. ამიტომ იყო, რომ მაგარი კისერი ჰქონდათ, მაგარი კბილები, სწრაფი ფეხები და კრელი ტანი, ამნარ ცხენებს ზებრა ჰქვია. ზებრები აფრიკაში ცხოვრობენ. იქ ძალიან დიდი სიცხე იცის, მზისგან თვალმომკრელი თეთრი სინათლეა და შავი ჩრდილები. მხოლოდ ასე აქრელებული თუ დაემალება ცხენი იქ ლომებსა და ვეფხვებს.

თქვენ, აღბათ, იკითხავთ: ზოგი ცხენი რომ ნაცრისფერ-ყვითელია, ეს რატომ არისო. იმიტომ რომ ისანი მონგოლეთის უდაბნოს სიღებში ცხოვრობდნენ, საიდანაც წამოიყვანა ერთმა კაცმა, გვარად პრევეალსკიმ. 40 წლის

წინათ ვადაწყვეტეს მათი მოშინაურობა. ზებრები კი აფრიკიდან მოაყვანეს უკრაინაში, სოფელში ასკანია-ნოვა.

პირველად ისინი ძალიან საშიში იყვნენ, რკინის გალიებში ჰყავდნენ მწყვედგული. შემდეგ წელსწელა მიეჩვივნენ ხალხს, შეიღობიყ ეყოლათ. ახლა ასკანიაში ასეთი ცხენების მთელი ჯოგია. ხალხს ისინი იმდენად მიეჩვივნენ, რომ გალიებში კი აღარ ჰყავთ, მარტომარტო უშვებენ მინდვრად—მაინც არსად წაივლენ, არსად გაიქცევიან.

2

ცხენები მშვიდად ძოვდენ ბალახს, ვინაიდან ჯოგს წინ უძლოდა ძველი, გამოცდილი ზებრა მინა.

პრევეალსკის ცხენების კვიცები და ზებრების კვიცები ტლინკავდენ ერთმანეთს კბენდენ, დაქროდენ. მათ არავისი არ ეშინოდათ. ჩაფრინდებოდენ კულში ყველაზე უფრო ღონიერ ცხენებს, საკმელს გამოსტაკებდენ, მაგრამ მათ ყველაფერს აბატიებდენ: ჯერ ხომ პატარები იყვნენ, ბევრი რამ არ იცოდენ.

მაგრამ ბებერ მინას ვერცერთი კვიცი ვერ ეკარებოდა. თუ უცაბედად მოვარდებოდა მასთან რომელიმე მათგანი, მაშინვე დარცხვენილი შეჩერდებოდა.

მინა იყო მთელი ჯოგის მეთაური და ყველა ემორჩილებოდა მას. ის ჰნ წლისა იყო, უკვე დაბერებული. იმაზე უკეთ ვერცერთი ცხენი ვერ მონახავდა კარგ საძოვარ ადგილებს.

აღამიანებსაც უყვარდათ ბებერი მინა, რადგან ის ხშირად ეხმარებოდა მათ. შემოდგომაზე ცხენები ფარებებში უნდა შეერეკათ. მაშინ მეჯინიბეები მინას შაქარს დაანახებდენ, და ტბილეულის მოყვარული ბებერი მიჰყვებოდა მათ, სადაც კი წაიყვანდენ. თუგინდ დირექტორის კაბინეთშიც შევიდოდა.

მინას მიჰყვებოდა მთელი ჯოგი. დანარჩენებს არ უყვარდათ შაქარი, მაგრამ რაკი მინა მიდის, მეთაური ზიდის, ჩენც უნდა გავყეეთო, და მიჰყვებოდენ.

ყოველთვის ასე ჰყვინაურად როდი იქცეოდა მინა, ის ხანდახან ისეთ ამბავს დაატრიოლებდა, რომ სულ ბებერ ხულიგანს უძახდენ მას.

3

დილაა. კოლმეურნეებს ასკანიაში გასაყიდად მიაქეთ კარაჭი, კვერცხი, მწვანილი, ხილი.

საესე ურომები ჰრიოლებს, ხარები ხანდახან თავს გაიქნევენ, კოლმეურნეები ზანტად შეუძახებენ მათ.

საზამთროები, ნესეები, ჰამიდოროები ბრწყინავს მზეზე.



ბათ ასწია თავი და დაქვიტა ყურები, მერე



დესტოვებით შეისუნთქა ძაერი და დაიყვია. ცხენი და ყველა? გიკვირდათ, არა? ნუ გიკვირებთ, ვინაიდან ზებრებს არ შეუძლიათ. ჰიხინის რალაც გამაყრუებელი ყველა მოუღიოთ, ის ცოტათი ვირის ყროყინს წააგავს.

მთელმა ჯოგმა დაქვიტა ყური. მინა გზისკენ გაქანა თოხარკით. ცხადია, მთელი ჯოგი მას მიჰყვა. მტვერი ღრუბლად აღდა.

უკანა ურემში ენაგრძელი

დღედაბერი იჯდა. ის მთელი გზა ეჩხუბებოდა თავის მოხუცებულ ქმარს — ნავთისთვის ბოთლი როგორ არ წამოიღეო. მტვერი რომ დაანახა ველზე, ახლა კიდევ უფრო მეტად აატანა:

— აი, ზედავ? კიდევ, რა აედარი მოდის? დაუშვებს წვიმა, გზებს გააფუჭებს და მთელი თვე უნაფთოდ უნდა ვიყოთ.

მან უკაბთ დააქვიტა თვალები და შიშისაგან გაშეშდა.

— მიშველეთ, ვეფხვები!

— სად გინახავს, ქალო, ვეფხვები. შენი მოსვენება რომ არ იქნება, — წყნარად უთხრა ბერიკაცმა, რომელიც არაფერად ენდობოდა თავისი ცოლის ნათქვამს, ვინაიდან ის ათას რამეს გამოიგონებდა ხოლმე.

— შეხედე, შეხედე, გამოჩერებულუო ზებერო! — აჩიფიფდა დღედაბერი,

— შეხედე, ჩვენცენ მორბიან, ჩვენცენ! ვაიჰე, მიშველეთ! — დაიყვირა და მოეხვია ქმარს.

— გაგიქდი, დედაკაცო? რა მოგივიდა!

ბერიკაცმა ახლა კი მიიხედა უკან და გაშეშდა: გარეული ცხენების ჯოგმა გზა გადაუჭრა მის ურემს. ისინი მართლა კრელები და საშინელები იყვნენ.

— ერიჰა! — ძლიეს თქვა მოხუცმა.



4

ხარები თავჩაღუნული იდგენ. დღედაბერი ეგდო, კანკალებდა და სულ „ქაი-ვაის“ ჩიფიფებდა.

ორი გარეული ცხენი აიყალყა და ისე შემოუარეს ურემს. ერთმა აკრელებულმა დაიყვია. ახლა ბერიკაციც შე-



შინდა. ის იღვა და ჩურჩულით ამბობდა: რაც იქნება, იქნება, ნეტავი კი გავდავრჩებოდეთო.

ქრელი ცხენი—ეს, რასაკვირველია, მინა იყო, —მივიდა და სახამიროები დასუნა. მას სამი შეუერთდა.

დედაბერმა ეს რომ დაინახა, შიში გადაავიწყდა, წამოხტა და, რადგან სხვა ვერაფერი ნახა, კაბის კალთას მოჰკიდა ხელი და ამით დაუწყა ცხენებს შეშინება.

— ფუ, უ, ოქმი! ფუ!—დააყარა დედაბერმა.

სამი ცხენი ვახტა ვანზე. მოშორდა ურემს, მინას კი ყურადღებაც არ მიუტკცევია დედაბრის ყვირილისათვის. მან მოლუნა თავისი ღონიერი კისერი შუბლით მიაწვა ურემს. ურემი შეინძრა. ათიოდე სახამირო გადმოგორდა და დასკდა. ცხენები ეცნ გემრიელ ლუკმას.

— მილიციონერ! მიშველეთ!—ხელების ჭნვეით გაკიოდა დედაბერი.

ცხენები ხარბად ქამდნ სახამიროებს...

ამსობაში კიდევ წამოეშველენ კოლმეურნეები და მათარხებით გარეკეს ჯოგი. ცხენებმა ისევ ტრიალ მინდორს მიაშურეს. პირში ზოგ მათვანს ჯერ კიდევ ეჭირა სახამიროს ნაჭერი.

— მიშველეთ, მომკლეს!—ვერ ისვენებდა დედაბერი.

5

გაბრაზებულმა დედაკაცმა არ იცოდა რა ექნა.

— ვაი, ჩემო სახამიროებო, ჩემო სახამიროებო! —მოსთქვამდა ის.

ბაზარში ჩასვლამდის სულ ებუზღუნებოდა ქვარს, რომელიც პასუხს არ აძლევდა. ბაზარში რომ შევიდნ, მაშინ კი ამოისუნთქა გლებმა თავისუფლად, იფიჭრა—ახლა მაინც გაჩუმდებო, მაგრამ მოტყუედა: ცოლმა დაეინებით მოსთხოვა: წამოდი, ცხენებს ეუჩივლოთ მთავრობასთანაო.

— რას ამბობ, დედაკაცო, გინდა თავი მომჭრა?!

— ჰა, მაშ შენთვის სულერთია, ხომ! ჩემი ოჯახის დაქცევა გინდა?

რას იზამდა ბერიკაცი, გაჰყვა. მივიდნენ ერთ დიდ სახლთან, შევერქმენენ...
დედაბერმა მოითხოვა: ყველაზე უფროსი ვინც არის აქ, ის მაჩვენეთ, შინდა
ენახო. მოვიდნენ მასთან სამნეო ნაწილის გამგე და სხვა მუშაკებიც, მაგრამ
ის მაინც არ დაკმაყოფილდა. რას იზამდნენ, წაიყვანეს დირექტორთან.

— რა მოხდა, ბაბუა? იკითხა დირექტორმა, მაგრამ დედაბერმა არ დაა-
ცალა პასუხის გაცემა და დიწყო:

— თქვენი ქირიმე, ვეფხვები დაგვესხენ, ურემი გადაგვიბრუნეს, საზამთრო-
ები შეჭამეს... საბჭოთა ხელისუფლება იმიტომ კი არ არის, რომ...

— მოიცა, ქალო, მოიცა რამდენი საზამთრო შეგვიჭამეს?

— რამდენი? — დედაბერმა იფიქრა, აქ შეიძლება ფულის ბლომად აღებო, და თქვა:

— სამოცი, სამოცი შეგვეჭამეს.

— რა? სამოცი? კარგი მადა ჰქონიათ! რა ღირს თითო საზამთრო?

— რა ღირს და ზოგი მანეთი, ზოგი ექვსი აბაზი, ჩვენი საზამთროები
კი საუკეთესოებია, ჩვენ ორ-ორ მანეთად ვყიდით. იმ ოხრებმა ნავთის ქურქე-
ლიც გამიტყბეს, ათი გირვანქა ნავთი დამიტკ...

აქ კი ველარ მოითმინა ბერიკაცმა.

— ტყუის, არ დაუჯეროთ, მხოლოდ რვა საზამთრო შეჭამეს, ათ-ათი
შაური ღირდა თითო, ნავთი კი სულ არ გექონია, ქურქელი შინ დაგვრჩა...

გაეცინა დირექტორს, ხუთი მანეთი მისცა. როდესაც გამოდიოდნენ, ღია
ფანჯარაში დიდხანს ისმოდა დედაბერის ბუზღუნა:

— სულელო, სულელო, ბედი კარზედ მოგადგა, შენ კი ხელი ჰკარი.
გაწყენდა, არა, ფულები?!

ამის შემდეგ „ყაჩაღ“ მინას ბაზრობის დღეს ეზოდან არ უშვებდნენ,
უმისოდ კი ჯოგი ვერ ბედავდა საზამთროებიან ურემზე თავდასხმას.

8. ზამთროვინა.

გადმოც. შ. თაბ - ლის მიერ. —

დიდი ბურთი

სახეკრობის შუშბანდში
ბურთი იღო დიდზე დიდი,
როგორც ყველა სათამაშო,
ისიც იყო გასაყიდი.

„რატომ მე არ მყიდულობენ,
მინდა ხალხში გამოჩენა!“—
და მყიდველის მოლოდინში
ამოიდგა ბურთმა ენა:

„მინდა ლალად ვითამაშო,
ასე გული არ მიდგება,
ერთ ადგილზე დღე და ღამე
მეც მომწყინდა უქალ გდება“.

თქვა და შეხტა, შეთამაშდა
ისე ჩქარა, ისე მარდად,
რომ კიბეზე ჩამოგორდა
და ქუჩაში გამოვარდა.






რისა ხედავს: ზღვა ხალხია —
 შავი, ლურჯი, მწვანე, ქრელი,
 და ბურთს უცებ დაეტაკა
 ვიღაც კაცის ფეხსაცმელი.



მერე უცბათ მილიციელს
 ცხვირში ეცა, როგორც ქორი.
 აქეთ ეტლი, იქით ცხენი,
 დატრიალდა სემადორი.

ჰა, ბაზარიც ინახულა,
 თაბახები — საესე ხილით,
 აქ კვერცხები დაამტურია,
 იქ დაფანტა კართოფილი!


და ხალხი კი მისდევს უკან
 კისრის ტეხით, თავის მტვრევით:
 «დაიჭიოეთ, დაიჭიოეთ,
 ნუთუ ბურთს ვერ მოგერევით?»



ბურთმა უცბათ დაინახა:
 მიჭროლავედა დიდი ავტო.
 აბტა, დაბტა და რბილ სკამზე
 გაიქიმა მარტოდმარტო.

ველარაინ დაეწია,
 ხ: ხამშრალი დარჩა ყველა,
 სახვაჭრობის დიდმა ბურთმა
 თავს უშველა! თავს უშველა!

დ. შარიჭვანიძე





გაზაფხულის მშენებელი კამკამა ღამე იყო... ზღვას ზეწარივენი
ლოდა მთვარის სინათლე და პაწაწა ტალღები ათასნაირად ელვარებდნენ. ღამის
მყუდროებას არღვევდა ქმენით მომავალი გემი, რომელსაც ღუზასთან ეწერა:
„თავადი როკედესტვენსკი“. ეს გემი მეხუთე დღეა რაც ოდესიდან გამოექცა
ბოლშევიკების „კლანჭებს“ და უახლოვდებოდა მენშევიკურ ბათომს, სადაც
მას მეგობრულად მიიღებენ...

გემის კაპიტანი, რომელიც სიმსუჭრისაგან ძლივს დადიოდა, ფიცხელ გან-
კარგულებას იძლეოდა, საცაა გემი ნაესადგურში უნდა შევიდეს.

მანქანებმა თითქმის შეწყვიტეს მუშაობა, და ჩძიმე ღუზა სრიალით ჩაეშვა
ზღვის სიღრმეში... შეშინებული „ბრწყინვალე“ ბატონები გემიდან ხმელეთზე
გადმოვიდნენ.

— მეგონი, სადაც მივედიო, ლუიზა! ჩვენ ალბათ აქ მოვეცხვებთ ჩამოსვლა, —
გაღწურულა პატარა ვილიამმა მასავით ბრეზენტებში ჩამალულ ლუიზას...

გოგონაქ თავი წამოყო და შიშით ახედა ვილიამს, რომელიც უკვე გამო-
წვრალიყო მძიმე ბრეზენტებიდან.

— ჰო, მეც ვდგები, ჩავიდეთ, — ბუტბუტებდა ის და თან ცდილობდა
ბრეზენტი აეხადა.

დიდი ხანი არ არის, რაც დედით ობოლ ვილიამს მამა თეთრებმა ჩამო-
უხრჩვეს ოდესის ახლო... შიშით გონებადაკარგული ბავშვი გარბოდა უგზო-
უკვლოდ და თითონაც არ იცოდა, როგორ მიაღწია ოდესას.

ქალაქის ქუჩებში კარგახანს ხეტიალის შემდეგ იგი წააწყდა მასზე უმცროსს,
მასავით მათხოვარა გოგონას ლუიზას, რომელმაც არც კი იცოდა ოდესმე
დედ-მამა ჰყოლია თუ არა... ერთ ბედში მყოფებმა მალე გამოჩინეს საერთო
ენა და ქურდულად, სხვების შეუმჩნეველად უკვე მიაღწიეს ბათომს...

1922 წელი.

ბუნებამ სხვა ელფერი მიიღო, საგრძნობლად აცივდა...

პლენანოვის პროსპექტს შუალამე გადასწოლია და აქაიქ მბეჭუტავე სინა-
თლე თუ არღვევს სიბნელეს... იშვიათად გაივლის შეცივებული ვინმე, და მი-
წაზე დადგმული ფეხის ხმაური არღვევს მყუდროებას. სიბნელეს ორი პატარა
ლანდი გამოეყო... მათ სიფრთხილით გაირბინეს ქუჩა და შეათვალაიერეს სახ-
ლები, რომ სადმე ღამის გასათევი ადგილი ეპოვათ. პატარა გოგონას ძლივს
მიათრევს უფროსი ვაჟი, თუმცა მასაც უშლის სიბრტულს შიშშილი... მეორე
დღეა, რაც მათ არაფერი უჭამიათ...

— შშია, შშია, ვილიამს, — ძლივს გასავონად ამბობდა პატარა ლუიზა...

— ცოტა კიდევ ვიაროთ, ეგებ რამეს წაეაწყდეთ, — უპასუხა მას ვილიამმა
და ნაბიჯს მოუქაჩა.

ცივი ქარი შემოიჭრა პროსპექტზე და პატარებს ცხვირპირში დაეტაკა.



— ოჰ, რა სიცივეა! რა კარგია ახლა ფეხსაცმელები, თბილი ლუმენი! —
თქვა ვილიამმა...

— არა, მე ყველაფერს ბურის ნატეხი შირჩენია, თუგინდ სულ შევლი
იყოს...

ამ საუბრით მიადწინეს ქუჩის კუთხეს, სადაც თბილ მანქანაში გამოხვეულ
მილიციონერს ჩასძინებოდა. ბავშვების ხმამაღლა საუბარმა გამოარკვია ის და
დაუკაცხანა პატარებს:

— ოჰ, თქვე ეშმაკებო, რით ვერ მოგიშორეთ თავიდან! მე ვიცი თქვე-
ნი! — და ახმახი მილიციონერი დაიძრა ადგილიდან...

ბავშვებს შიშისაგან შიმშილიც დააეწყდათ, დალღაც, და როგორც შეეძ-
ლოთ, ისე დაეშვენ ქუჩაზე...

ბევრი სირბილის შემდეგ ქანცგამოღებული ბავშვები შეჩერდნენ და დაათ-
ვალიერეს ირგვლივ ყველაფერი. მათ არავინ მოსდევდა... ცოტა შეისვენეს და
ისევ განაგრძეს გზა.

ერთი სახლის დიდი კარი გაღებული იყო, და სიცივისაგან მოკრუნჩხული
ბავშვები შიგ შევიდნენ, კბნებთან მოიკალათეს.

სახლის შესავალთან ეკიდა დიდი აბრა წარწერით: „უპატრონოთა თავ-
შესაფარი“...

ბევრმა წელმა ჩაიარა ამ ამბის შემდეგ...

დედამიწის ერთი მეექვსედი სხვაგვარი ელფერიტ გასცქერის შის დანარჩენ
ნაწილებს. აი ეს ქვეყანა არსებობის 16 წლისთავს დღესასწაულობს; ყველაფერს
საზეიმო საბე მიუღია, ყველა ხარობს, მზე იცინის, ყველაფერს წითელი ფერი
ამშვენებს...

ორთქლმავალი № 05617 ქშენით მოემართება გაშლილი ველებიდან. კომ-
კავშირელი დამკერელი მემანქანე თავის ორთქლმავალს თვალისჩინივით უვლის.

პატარებელი მოქრის ველზე და მოაქეს სიხარული. მან უმოკლეს ვადაში
გადაიბინა გრძელი მანძილი. სემაფორი ღია... მოხდენილი „ბიჯით“ შევიდა
პატარებელი სადგურში. სადგურის უფროსი ქალი გამოემართა ორთქლმავლისა-
კენ, რომ თავისი ხელით ჩააბაროს კვერთხი მემანქანეს და...

— ოჰ, ლუიზა! — სიხარულით შესძახა მემანქანემ სადგურის უფროსს. —
დღესაც შენ მუშაობ? მომილოცავს 16 წლის თავი საბჭოთა ხელისუფლებისა,
რომლის ღვიძლი შვილები ჩვენა ვართ — მათი გაზრდილები...

— მართლაც, ვილიამ, ჩვენი სამშობლო საბჭოთაა კავშირია. მალე ვნა-
ხავთ ჩვენი მამები! სამშობლოსაც და ჩვენ მეზობელ-ნათესაეებს ჩვენსავით ბედ-
ნიერებს. დეე, იკოდენ დასაუღეთის ბატონ-პატრონებმა, რომ ჩვენ მათი ძირ-
მომპალი ციხე სიმაგრეების აღება არ გავეკიპრდება...

ცოტა ხნის შემდეგ პატარებელი სწრაფად მისრიალებდა თვალუწვდენელ
საბჭოთა მინდერებზე. მემანქანე სიხარულით იგონებდა თავის განვლილ ცხო-
ვრებას.

ქ. კიკინაძე.



(საბაფხვო პოემა)

გივი და ლილი იყვნენ და-მმანი,
ერთს ჰყავდა ცუგა, მეორეს ფისო.
ლილი ჩიოდა: ცუგა ქურდია,
რძისა და ყველის სუნი უღისო.

ამ ონაფარმა არ დამიყენა
მე არც ნამცხვარი, არც ტბილი ნუგა.
დედას და მამას მე უნდა ვსთხოვო,
რომ მოგვაშორონ ვერანა ცუგა.

ამაზე გივი მეტად გაცხარდა
და შეედავა თავის დაიკოს:
— ეგ შენი ფისო უფრო ქურდია,
თუ გინდა, ვკითხოთ ბიძია ნიკოს!

ეგ არ იყო, რომ თევზის შობარვით
ჩვენ უსადილოდ დაგეტოვა ყველა
და დედამ ასეთ ქურდობისათვის
გვერდებიც ჯოხით რომ გაუბრტყელა?!

განა არ გახსოვს, შენ ამასწინათ
რომ შევისვლილა ფისომ მაწონი?
მაგრამ მაგისი ქურდ-ბაკაკობაც
შენთვის კარგია და მოსაწონი!

ჩემს ცუგრიკოს კი კბილი ჩაასე
და იმის კარგი შენთვის ცუდია.
ნუ გეწყინება, და პირში გეტყვი;
ეგ შენი ფისო უფრო ქურდია.

ბევრი იღავეს... ბოლოს გვიმ თქვა:
— გავასამართლოს, მაშ, ძია ნიკო.
თუ არ გამტყუნდე შენ ამ საქმეში,
პირი შემირცხვეს, ბიჭი ან ვიყო!

წამსვე გაიქცენ ძიას ოთახში,
თან წაიყვანეს ფისო, ცუგრიკო.
„რომელი არის ამაში ქურდი?“ —
ეკითხებოდნენ ბიძია ნიკოს.

ძიამ ღიმილით მათ უპასუხა:
ქურდია ცუგა, უფრო კი ფისო,
მაგის თავგებაც არ ეშინიათ,
მთელი დღეებით უქმად ჯნავისო.

მაგათი შიშით მაგიდაზედაც
კი ველარ ვტოვებთ მაწონს და რძესა,
თუ ქურდობას არ მოაშლევინებთ,
ორთავეს გაყვრით სახლიდან დღესა.
გვიჩაუარდა საგონებელში,
იმაზე მეტად დაღონდა ღილი.
„ქურდობა როგორ მოვაშლევინოთ?!“ —
აი, იმათი გულის ტკივილი.

— შენი ბრალია, იცი, ეს, ღილი,
შენ წამოიწყე ბრალის დადება.
მე ვცო, შენი ოინი არის
ცუგას და ფისოს გარეთ გაგდება.

ვიაჰ, გურამმა — ყველამ იციან,
რომ ეს ამბავი შენი ბრალია,
იმათ იციან, ჩემი ცუგრიკო
რა ძალიც არის: ჭვეყნის თვლია!

— ჩემი ფისუნია რომ მომაშორონ, —
უთხრა მას ღილიმ, — ზომ დაკიდებე-
თავს მიჩქინია... — და ამ სიტყვებზე
სრულყოფილ ავესო თვალების უბე.

— ვკითხავ მედიკოს, ქეთოს, ცისანას,
თუ ჭვეყნად არის ასეთი კატა!

რა ლამაზია, რა მშვენიერი,
თითქოს მხატვარმა იგი დახატა!
რა ჭკვიანია და რა გულადი, ეგრეთვე
თავის მაგის შიშით ვერ გაუფლნო!
რომ გაეფიქრებ მომაშორებენ, —
სრული მომდის და მტკივა გულია.

ჩემო გვიგო, სჯობს, რომ ქურდობა
მოვაშლევინოთ ფისოს და ცუგას.
მხოლოდ ამითი თუ შეიძლება
ორთავემ ძიას გული მოვიგოთ.
ხერხს იუ მიგზავრთავთ, ჩვენ შეგვიძლია
გაძვევებ სგან მაგათი დაცვა!
— მეც გეთანხმები, — უთხრა მას გვიმ,
და და-ძმა ფიქრმა შორს გაიტაცა.

მეორე დღესვე კატა და ძალი
გვიმ და ღილიმ ერთად შეყარეს.
სრულყოფილ გვადრენ და ცელქ სხოველებს
კითხვა-კითხვაზე მათ მიაყარეს:

— როგორ იქნება მუდამ წუწყობა,
როდის მოიშლით თქვენ ამ საქციელს?!
დედა ამბობს, რომ ჩვენი ოჯახი
თქვენ მოინდოთ, თქვენ დააქციეთ!
ჩვენ ძიამ გვიხარა: თუ რომ ქურდობას
თქვენ არ მოიშლით, ონაეარებო,
ორთავეს გაყვრი და ჩვენს სახლს და კარს
ახლოსაც აღარ მოვაკარებო.

ჩვენ დაგიჯერეთ, ჩვენ თქვენზე მეტი
ქუცა ვისწავლეთ საბავშვო ბაღშიც,
თორემ ორთავეს გაყვრიან გარეთ,
მოგენატრებათ შემოსეღა სახლში!

ცუგამ და ფისომ მათ მოუსმინეს
და თითქმის მისცეს კიდევ დასტური,
მაგრამ მეორე დღით ორთავემ
გადმოათარიეს თაროდან პური.

...თხოვნა არ გაქრა, ბოლოს კი და-ძმამ
ცუგრულელების ცემა არჩია,
მაგრამ ამ ხერხმაც ფისო და ცუგო
წუწყობას ველარ გადააჩვია...

ერთ დღეს წვიმაში გვი და ლილი
ფეხშიშველები გავიდნენ გარეთ,
წყალში დაიწყეს ჰყუმპალობა,
კისკისით შეძრეს მთლად არემპარე.

დედას მოესმა ბავშვების ხმა და
გაოცებული გარეთ გავარდა.
რა დაინახეს დედა ცელქებმა,
ორთავემ სახლში მოკურსებლა მარდად.

ძლიერ დატუქსა დედამ ბავშვები,
გაუთბო ფეხი, ჩააცვა თბილად,
მაგრამ ორთავეს ყელი ასტივდა
და სიციხე მისცა მეორე დილას.

მალე მოვიდა ძველი ნაცნობი
მათი ეჭიმი — კეთილი კაცი,
ნახა ორთავე და დაარიგა:
აღარ მოსვლოდათ ასეთი მარცხი.

გამოუწერა ტკბილი წამალი,
რომელსაც ბავშვებს ასმევენ რძითა,
ფისოც და ცუგაც მათთან არიან,
არ შორდებიან აღარას ვზითა.

მსლამოს, როცა მოვიდა დრო, რომ
ბავშვებს წამალი კვლავ დაეღიათ,
ბიძია ნიკოს რძიან წამლების
ორივე ჯამი დახვდა თავლია.

შიგ ჩაიხედა, მაგრამ რას ნახავს:
შეთუსღეპიათ ძალსა და კატას!!
— აუ, — თქვა ძიამ, — მათში ვერცერთი
ამ ღამესაც კი ველარ გაატანს.

ვიციმ და ლილიმ დაუწყეს ხვეწნა,
მიკერძობებამც თავი იჩინა:
ეს სახოვს, რომ ცუგა, ის კი სთხოვს:
ფისო როგორმე ძიას გადაერჩინა.

გამოუძახეს საქონლის ექიმს,
რომელსაც დახვდა მძიმე სურათი:
გაბრუებული ეგდო ორთავე,
ცუგას დაედო ფისოსთვის თათი.

თითქოს ეს იყო უკანასკნელი
ტკბილმეგობრული მოალერსება.
ამის შეკურსეს გვიცის და ლილის
თვალი ცრემლების ღვარით ეცებათ.

წუხარებისგან ხმას ვერ იღებენ,
წამომჯდარან და ორთავე დუმან.

ცხოველებს ხახა დაუღეს ფართოდ
და შიგ წამალი ჩაასხეს უმალ.
ცუგას და ფისოს შემოჰხვევდა
მთელი ოჯახი: ბაბა და დედა,
ძია ნიკო და ნათესავები,
და გტყობოდა სუყველას სედა.

— „ გეგ უშველოთ ცხოველებს რამე! “ —
ექიმს გულწრფელად შესთხოვდა დედა,
ანუგეშებდა ცრემლიან ბავშვებს,
თან ფისოს, ცუგას უაღერსებდა.

„ ნუ გეშინიათ, არა უშავს რა! “ —
უთხრა ექიმმა ლიმორეულმა.
და ამ სიტყვებზე კვლავ სიხარულით
დაიწყა ძვერა ბავშვების გულმა.

— თქვენი ცუგა და ფისო მორჩება,
მათ აღარ უნდათ წამლობა მეტი.
ამასთან ერთად, ჩემო ცელქებო,
სასიამოვნო ამბავსაც გეტყვით:

იმის, რასაც ვერ გადააჩვიეთ
ველარც გაწყრომით, ვერც მოფერებით,
მხოლოდ დღევანდელ მოწამლის შემდეგ
მიატოვებენ ცუგარუმელები.

ჭურღბაცაკობას ვერ გაბედავენ,
ექნებათ მუდამ შიში და კრძალვა,
არ დაკირდებათ კვლავინდებურად
რძისა და მაწენის მუდამ დამალვა.

კოტა ხნის შემდეგ ფისომ იქნავლა,
ცუგამაც იწყო კუდის ქოცინი,
გამხიარულდნენ გვიც და ლილიც,
აიღეს სახლი კისკის-სიცილით.

მართლაც გამართლდა ექიმის სიტყვა:
აღარ ჭურღობენ ფისო, ცუგარიკო,
მადლიერი ჰყავთ იმათ სუყველა,
მადლიერი ჰყავთ თვით ძია ნიკოც.

ფისო გულადიც ვახდა და მისი
შიშით სულს ღვევენ ყველა თავგები,
იგი და ცუგა აღარ ჩუბობენ,
შეიქნენ კარგი ამხანაგები.

აღარ დაეობენ მათ ჭურღობაზე
ჩვენი ცელქები გვიც და ლილი,
ამათ დამშური აქვთ სიყვარული
და მეგობრობა კარგი და ტკბილი.

8. აბზინანძე.




მე საბავშვო კერაში ვმუშაობ, ვა-
მაკადინებ ბავშვებს მუსიკაში. ჩვენ
ვმღერით, ვთამაშობთ მუსიკალურ სა-
თამაშოებს, ხანდახან როიალზე ეუ-
კრავ, ბავშვები კი ჩუმად სხედან და
ყურს უვადებენ მუსიკას.

და ყოველთვის, როდესაც ჩვენ
ვმღერით და ვთამაშობთ, აუცილებ-
ლად რომელიმე ბავშოვანი მოი-
რბენს როიალთან, დახედავს ზევიდან.
რა არის იქ, შიგნით? თითს დაარტყამს
კლავიშს: როგორ ხმას გაიღებს?

ეს ბავშვები შიშლიდენ მეკადინე-
ობას, ამიტომ ვიფიქრე, თუ თქვენ და-
ლიან გეინტერესებათ, გიჩვენებთ ყვე-
ლას ერთად. მოვავროვე ბავშვები.

— ეის აინტერესებს. თუ როგორ.
არის მოწყობილი როიალი? აბა
დაინახეო.

და მე ივხადე როიალს პირველი
სახურავი.



რიგზე ვაპყვენ თეთრი და შავი
კლავიშები, ყველა ერთნაირები, კრი-
ალია და სულთა.

აი, დაჰკრავ ერთს, — ხმა გამო-
დის უხეში, დაჰკრავ მეორეს, მეორე

ბოლოში, — ხმა არის წერილი.
ლიან წერილი.

რატომ არის ასე?
ვალბ როიალის მეორე სახე-
რავს — იქ ჩანს სიმები, გრძელები,
ძალიან გრძელები, მაგრამ დაქიპუ-
ლები. აი წერილები, ლითონის, აი
ესენიკ დაგრებილები. სპილენძის.

ბავშვები მოდიან როიალთან ახ-
ლო, ყურს უვადებენ შიგნით.

მე კი ვაქვრ თითს კლავიშს. —
ბრახ! — გამოხტა ქვევიდან სიღრმი-
დან, პატარა, თეთრი, რბილი ჩაქუჩი.



დაარტყა სიმს, და გამოვიდა გრძელო
ხმა.


წერილ სიმს დაარტყამს ჩაქუჩი, —
ხმა გამოვა წერილი: მსხვილს სიმს
დაარტყამს, — ხმა გამოვა უხეში.

— დაარტყით აქ! ახლა! აქ! აი
ახლა ამას! ამასაც! ახლა კი ერთად
ბევრი, — მთხოვენ ბავშვები.

მე ვაქვრ ერთად ხუთს, ექვს, რვა
კლავიშს, — გამოხტება ხუთი ექვსი,
რვა ჩაქუჩი, და სათითაოდ ურტყამენ
თავიანთ სიმს.

რაზეა ესენი მობმული? — კით-
ხულობს ერთერთი ბავშოვანი და
კდილობს ჩაიხედოს იქ, უფრო შორს,
შავი პრიალა სახურავის ქვეშ.

მე ვალბ როიალის მესამე სახე-
რავს. დაინახეთ, სად მიდის სიმები?
ბავშვები შემოეხევიენენ როიალს.
— ახლა რომ დაუკრათ?



— აი ეს გუშინ ძვრებოდა როიალის ქვეშ, უნდოდა ეს მოეტება და წაეღო, — ამბობს გოგონა.

ქართული
ხელნაწილები

მაშინ მე ვეკითხები:

— როგორ ფიქრობთ, პედალი რომ გავტეხოთ, სიმები დაეწყვიტოთ, კლავიშები დაეამტვრიოთ, — როიალი კიდევ დაუკრავს?

და ვაჩვენებ ბავშვებს ისეთ სურათს, როგორიც აქვე სტრიკონების ქვევით არის დახატული.

— მოგწონთ ეს როიალი?

ის დგას ერთს კერაში.

ის ბავშვებმა გააფუქეს, ახლა კი იქ მოწყენილობა.

არც დაკვრა შეიძლება, არც სიმღერა, არც სიარული მუსიკით, არც უჭმეების მოწყობა...

ჩვენმა ბავშვებმა გადაწყვიტეს —

გაუფრთხილდნენ როიალს, არ გააფუქონ. მათ ფრთხილად მიშველეს სახურავების დახურვა. მერე დაეჯექი და დაეუკარი. ბავშვები ჩამწყრიდნენ და წაეიდნენ მარშით.

თქვენ გაქვთ თუ არა როიალი სახლში ან კერაში? ვინ იცის მისი დაკვრა?

თარგ. ზ. ი. — ძმ.

მე დაეწყე დაკვრა, და ყველანი კერაზე გახტენ, ისე მძლავრად და მამალა დაიხმაურა სიმებმა.

მაგრამ ბავშვებისათვის ეს ცოტაა.

— რატომ აკეთებთ თქვენ ფეხით ასე? — და ყველანი იყურებიან როიალის ქვეშ. — ეს რაღა საჭიროა?

— ახლავე გაჩვენებთ, მოისმინეთ.


მე ვარტყამ კლავიშს და მალე ვიღებ თითს ხმა მოკლეა, უცბათ დაჩუმდა.

ახლა ვაჭერ ფეხს ყვითელ სპონჯის ფირფიტას და ისევ ვარტყამ თითს კლავიშს.

თითი მოვაცალე, ხმა კი ისევ ისმის.

— კიდევ ეგრე, — მთხოვენ ბავშვები. მე ვაჭერ ფეხს ფირფიტას და ვარტყამ ხელებს ერთს, ორს, ბევრს კლავიშს. ხელები მოვაშორე, ხმები კი კიდევ დიდხანს, დიდხანს ისმის.

— ამას რა ჰქვია?



რედაქციის მისამართი: ტფილისი, აღმასკომის ქ., № 7. სახელგამი.

პ/მგ. რედაქტორი: ირ. აბაშიძე.
პ/მგ. მდივანი: ელ. აგლაძე.

ზ. მ. ს. კ. კოლხორაფტრესტის 1-ლი სტამბა
მთავლ. № 1261-ა.

№ 2001.

ტირ. 25000

1873543:0
012-00110330

